ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/20-047

ქ. ბათუმი 2020 წელი

ერთის მხრივ **შპს ,,სანდასუფთავება“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს “AJARA TRANSPORT“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ჰუსეინ გუნერის სახით, საქართველოს მთავრობის, 2011 წლის 21 იანვრის, #26 დადგენილებისა და და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის კუთვნილი ავტომანქანა **ნაგავმზიდი FORD KARGO 1833 (სახელმწიფო ნომერი MH-472-HM; ვინ-კოდი NMOKKXTP6KGA98121) გადაცემათა კოლოფის სარემონტო სამუშაოები** (შემდგომში– მომსახურება). კლასიფიკატორი – **CPV 50100000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 გადაცემათა კოლოფის სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 350 (სამასორმოცდაათი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **350** (სამას ორმოცდაათი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან და თანმდევი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გარეშე.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან (არსებობის შემთხვევაში) და მიღება–ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2 (ორი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,სანდასუფთავების“ სარემონტო-საამქროს უფროსი შუქრი ვარშანიძე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 15 დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02 % ოდენობით.

7.2 თუ ვადაგადაცილება ხელშეკრულებით განსაზღვრულ, საქონლის მიწოდების ვადას 10 დღით გადააჭარბებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით.

7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 01 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	**შ.პ.ს “AJARA TRANSPORT“**
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. ბათუმი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	გ. ბრწყინვალეს ქ. #9
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 445394537
სს ,,საქართველოს ბანკი“	სს ,,ზირაათ ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: TCZBGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE56ZB0100003602001355
შპს ,,სანდასუფთავება“	**შ.პ.ს “AJARA TRANSPORT“**
დირექტორი	**დირექტორი**
დავით დუმბაძე	**ჰუსეინ გუნერი**
_____	Huseyin Guneri Подписано цифровой подписью: Huseyin Guneri Дата: 2020.02.19 13:14:50 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი დავით დუმბაძე და შპს ,,სანდასუფთავების“ სარემონტო-საამქროს უფროსი შუქრი ვარშანიძე, ვადასტურებთ, რომ **შ.პ.ს “AJARA TRANSPORT“**-თან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #ს/შ20-047, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი:
დავით დუმბაძე

შპს ,,სანდასუფთავების“ სარემონტო-საამქროს უფროსი
შუქრი ვარშანიძე

Shukri Varshanidze

Подписано цифровой подписью: Shukri Varshanidze
Дата: 2020.02.21 16:47:17 +04'00'